ნოემბერი
№42
ტარტაროზი
1930 წ.
ფასი 10 კ.

„იმედი“ — ჩვენ დაგვამარცხეს, მაგრამ ეს არაფერი! სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ, ესენიც გათავდებიან. ომში არიან ყოჩაღები, თორემ ომის გარეშე არავითარი საქმის გაკეთების უნარი არა აქვთ. (იხ. მე-16 გვ.)

სადღეისო

დღეს ტარტაროზი სდგას და გაჰყურებს
საბჭოთა ქვეყნის უსაზღვრო სივრცეს:
იგი ლუმელში რკინას ახურებს
და ჰკვართავს მისგან იარაღს მტკიცეს!

ამ იარაღით ის ხომ ღმერთს ებრძვის,
ჯკი უჩვენა ერთხელ ფეთება,
როს უცდახუთით, ოქტომბრის ერთ დღით,
ჯგემა შიში და აფეთქება!...

და, აბა, სცადეთ, არ დაუჯეროთ!..
მას შედეგ მოდის ბრძოლით წინ ტევა
სცვლის გაარჯვებას—გამარჯვებები!
აქ დღე დღეს უსწრებს, გზა არ ილევა,

და მეც, ვით მგზავრი, დღეთ ვეგებე ბი!...
შვიდ ნოემბერს თუ ოქტომბერია,
განა, სხვა დღეს ვსცნობ უოქტომბრო თ?
ეს წესი სისხლით დამიწერია

რომელი ერთი უნდა გიჩვენოთ,
რაც მე ოქტომბრით მიღწევა მომდის?
სოციალიზმი რომ ავიშენოთ,
ჩვენ დღეს ეს საქმე მიგვყავს ბოლომდის!.

ეს ხომ ლენინის არის ანდერძი,
დიდი ბელადის ქვეყნის მ ანების,
ვინც გამოსტაცა ძველს მიწას ღერძი
და გასდო ხიდათ მილიონების!..

დაიძრა ხიდზე შრომის არმია,
წინ გარკვეული გზაა და ხაზი:
ყოველი უქმე ახლა წამია,
ყოველი დარტყმა—მტრის გულში ბრაზი!.

ჩადგა მუხლები ინდუსტრიაში
და წინ დაიძრა ურიცხვ მწკრივებით:
თვალებში მესთა სხივის კიაფით
და იქით-აქეთ კოლექტივებით!..

გამოვა ვინმე და იტყვის ასე:
„შესდექით! შესდგეს ეს გატაცება,
ზოგად სიცოცხლის აუწით ფასებს
დროშა—კომუნის რკინის კაცებმა!".

ჰაუ, ეს ხმები სადაურია?!.
უცხოა იგი ამ გაქანების!
გესმით, ქარხნებში რა ხმაურია
და რა გრაგანი სწრაფ მანქანების?!.

საბჭოთა მაჯის სწრაფი ცემაა
და მისი გულის უსაზღვრო ტოკვა;
საერთოდ კი ეს—გატაცებაა
და უჩვევი გზის უჩვევი თოკვა!

ასე ღვივდება ფოლადის ნება
მილიონების აზრის და ძალის,
წინ რომ ტემპებით მიექანება
და მიჰყავს მტკიცედ ფოლადის სტალინს!..

ნ. ზომლეთელი.

მწარე სიხარული

— დღეს ჩვენი დაღუპვის დღეა და შენ გიხარია!
— შე კაი კაცო, დღეს მაინც მოგვიგონებენ, და რა-
ტომ არ უნდა მიხაროდეს!

— „13" კვიმატი იყო და არ მეგონა თუ მა-
დაიტანდენ კომუნისტები!

ყეფა შორიდან

1918-19-20 წლები

ამერიკელი ინგლისელს: შეუტიოთ და ახლავე მოვსპოთ ეგ რუსი ბოლშევიკები. სიფათში ვატყობ, რომ მაგათ თუ გაიმარჯვეს, ხეირს არ დაგვაყრიან.

ორიოდე წლის შემდეგ:

ინგლისელი—ფრანგს და ამერიკელს!—დავმარცხდით აშკარად, მაგრამ ცოტა სული მოვიდგათ, ამ გერმანიას გავაძროთ ტყავი და რუსეთის დაპყრობას მერეც მოვესწრებით. (აქ იმედია მკითხველი მიხვდება, რომ მოქმედება სწარმოებს 1918, 19 და 20 წლებში, როცა ინგლის-საფრანგეთ-ამერიკა-გერმანია-პოლონეთის ფულიანი ხალხი (იმპერიალისტები) ცდილობდენ ინტერვენციის საშუალებით მოესპოთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი, მაგრამ ჯამი ჯოგზში ჩაუვარდათ).

ბ ე ც ი



— რა ბარბაროსებია ეს ბოლშევიკები,—ჩვენი აგენტები დაუხვრეტიათ.

1922 წელი

ფრანგი ინგლისელს:—ახლა მიშველე, ვეცეთ ახლა და გავანიავოთ, თორემ მერე მოლონიერდებიან და გვიან იქნება.

ინგლისელი:—შეუტიე შენ და მეც უკან მოგყვები.

ამერიკელი:—ჰო, კი, შეუტიეთ ორივემ, ჩვენ აქედან გიყურებთ. (ვერც ერთი ვერ ბედავს შემოტევას).

ფრანგი:—ხომ გეუბნებოდით ომი აუტეხოთ თქვა, ახლა წელში მომაგრდენ და ისე ადვილი აღარ არის...

ინგლისელი:—სინჯე მაინც, ეცი შენ და ჩვენც ვეცემით.

ფრანგი:—არა, ჯერ შენ და მერე მე!..

ამერიკ.:—მიდით ბოშო, რის გეშინიათ, აქ არა ვართ?

პოლონელი:— (ყეფს) ამ! ამ! ამ!

ფრანგი:—ეცი მაგათ მურა, ეცი მაგ ბოლშევიკებს.

რუმინელი:—ამ! ამ!.

ყველა ერთად:—ეცით, ეცით, მურიკებო...

1924 წელი

ფრანგი:—ე ბიჭო, საქართველოში აჯანყებაა, რუსეთი ინგრევა, ვეცეთ და მოვსპოთ!

ინგლისი:—მიდი, მიდი, ჩვენც მოვდივართ.

ამერიკა:—მიდით, ნუ გეშინიათ!

სხვადასხვა ფინიები:—ამ! ამ! ამ!

(ვერც ერთი ვერ ბედავს ომის დაწყებას.).

1927 წელი

ინგლის.:—ხალხო, უშველეთ, საბჭოთა კავშირში გაღრმავდა რევოლიუცია, ვეცეთ, თორემ ბოლოს ინანებთ!

ფრანგი: —გეუბნებოდით გაძლიერდებიანთქვა, ახლა როგორ გინდა ომი დაიწყო, ეს ამერიკა განზე დგას?

იტალიელი:—ვაჟო შეუტიოთ, თორემ თითონ შემოგვიტევს!

პოლონელი:—ამ! ამ! ამ!

ამერიკ.: (ჩიბუხს აბოლებს).

(ომის დაწყებას ვერც ერთი ვერ კისრულობს).

1929 წელი

— **ამერიკ.:**—დავიღუპეთ კაცი, საბჭოები გამაგრდენ, ხუთწლედის მეორე წელი დაიწყეს.

ფრანგი:—ეგრე მოგიხდება, რომ გეხვეწებოდით მოვსპოთ თქვა, ყურს არ აპარტყუნებდით, ახლა მაგათ ვინ მოერევა?

ინგლის.:—ვეცეთ ახლა მაინც, თორემ თითონ გვეცემიან!

ფინიები: ამ! ამ! ამ!

(შემოტევას ვერავინ ბედავს)

ამერიკ.:—მიშველეთ, ეკონომიური გასაჭირი მაქვს!

ინგლის.:—მომეხმარეთ, კოლონიები ხელიდან მეცლება!

ფრანგი:—ყარაულ! დავიხოცეთ შიმშილით.

იტალ.:—ქე მაინც ვივაჭრებ ამ ბოლშევიკებთან.

გერმ:—ხალხო! შემეშალა ანტანტამ!

პოლონელი:—ამ! ამ!

ფინეთი:—ამ! ამ!

რუმინ.:—ამ!

საერთაშ. იმპერიალიზმი: (თავშიიცემს): —დემპინგია, საბჭოთა დემპინგი, მთელ ქვეყანას ღუპავენ ბოლშევიკები! მ-ლ-ი-ო-ნ-ერ! ბოლშევიკები ხუთწლედს ასრულებენ! მურიებო, ეცით, ეცით!..

მურიები (ილაჯგაწყვეტით)—ამ! ჰამ! ჰამ!..

მსოფ. პრ-ლეტ-ტი:—აბა გაბედეთ და ესროლეთ, გიჩვენებთ თქვენს სეირს!

საბ. ვ-ზირელი:—იყეფოს, ნა ვენაღვლება, თქვენ თუ კარგათ გეყოლეთ, ეგენი ვერაფერს გაგიბედავენ.

(ეს ყეფაში ხუთ წლედი წარპატებით ამოვლ-დება 4 წელში).

ალლარ—ალლარსან.

„ამხანაგი კერენსკი“

(1917 წ. ჟურ. „ბიჭ“-ის № 20-შიგას, კნიაზევის ფელეტონის მიხედვით)

„ამხანაგი კერენსკი“ დილით ადრე იღვიძებს და მაშინვე თავის თავს მხურვალე სიტყვით მიმართავს:

„ადსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს, ბრძოლის ისმიან ხმანია“...

ხუთი წუთის შემდეგ. „ამხანაგი კერენსკი“ ქუჩაში გამოდის და ესმის გაზეთის გამყიდველთა ძახილი:

„მსოფლიო ომი საბჭოების წინააღმდეგ“...

ხუთმეტი წუთის შემდეგ, ე. ი. ცხრის ხუთმეტზე, უკვე ვერსალში ზის „ამხანაგი კერენსკი“ და თავმჯდომარეობს ანტი-საბჭოთა კონფერენციას.

სრულ ათ საათზე ყველა სახელმწიფოების შეერთებული სამხედრო ძალები მოითხოვენ „ამხანაგ კერენსკის“ დანიშვნას მთავარ სარდლად.

ხუთი წუთის შემდეგ გაერთიანებული ჯარების მთავარ სარდალი „ამხანაგი კერენსკი“ გადადის შეტევაზე და ორი წუთის შემდეგ იღებს საბჭოთა კავშირის ორასამდე ქალაქს.

ნახევარი საათის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ ტრიუმფით შედის ლენინგრადში, სადაც მას ხალხი „ვაშა“-ს ძახილით ხვდება.

ერთი წუთის შემდეგ „ამხანაგ კერენსკის“ ბრძანებით ქალაქს ერქმევა ისევ „პეტროგრადი“.

კიდევ ერთი წუთის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ გამოდის „პეტროგრადში“ მიტინგზე. მცხოვრებლების სიხარულს საზღვარი არა აქვს. (ზოგ გულჩვილ და კეთილშობილ მანდილოსნებს სიხარულისაგან ცრემლიც ჩამოსდით).

ათის ნახევარზე „ამხანაგი კერენსკი“ უკვე ჩინეთის საზღვარზეა და ამშვიდებს ჩან-კაი-შის აღელვებულ ჯარს, რომელსაც არ სურს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი.

ოლოუმზე გამოირკვა, რომ „ამხანაგმა კერენსკიმ“ არ იცის ჩინური ენა.

ერთი წუთის შემდეგ მას მოუტანებენ ჩინური ენის „თვითმასწავლებელს“.

ხუთი წუთის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ უკვე ჩინურ ენაზე ელაპარაკება ჩინელ ჯარისკაცებს.

ორი წუთის შემდეგ მთელი ჩინეთის არმია დაიძრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ათ საათს თორმეტი წუთი უკლია, რომ „ამხანაგი კერენსკი“ იღებს მოსკოვს და ატუსაღებს საბჭოთა მთავრობას.

ათი წუთის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ ზის კრემლში და ადგენს „დროებით მთავრობას“.

ოცი წუთის შემდეგ ქუჩებში გაკრულია „ამხანაგ კერენსკის“ ბრძანება ყველა კომუნისტებისა და მათი თანამგრძნობების ჩამოხრჩობის შესახებ.

ათი წუთის შემდეგ „პეტროგრადში“ იხსნება დამფუძნებელი კრება, რომელიც მაშინვე ირჩევს „ამხანაგ კერენსკის“ სრულიად რუსეთის პრეზიდენტად.

ორი წუთის შემდეგ მთელი რუსეთი ჰყვირის:

—„ბოლშევიკების მოსასპობად მეფეა საჭირო... გაუმარჯოს ჩვენს მეფეს „ამხანაგ კერენსკის“.

ოთხს საათზე „ამხანაგ კერენსკის“ ირჩევენ სრულიად რუსეთის მეფედ.

ხუთი წუთის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ ანუ სრულიად რუსეთის მეფე სამხედრო სობოროდან, სადაც ის კათალიკოსმა მეფედ აკურთხა, ხალხს ხელის გულზე დასმული მიჰყავს სასახლეში.

ნახევარი საათის შემდეგ—„ამხანაგი კერენსკი“ იწყებს მსოფლიო ომს ყველა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ათი წუთის შემდეგ ქვეყნად არსებული ყველა მეფენი ქედს იხრიან „ამხანაგ კერენსკის“ წინაშე და ირჩევენ მას მსოფლიოს მეფედ.

თორმეტის ნახევარზე (ღამით) მარსიდან მოდის ფოსტით სასწრაფო ღია წერილი, რომელშიაც მარსიანელები სთხოვენ „ამხანაგ კერენსკის“ მიიღოს მოწყალება და შეიერთოს მარსი მისი იმპერატორობითი მფარველობის ქვეშ.

ხუთი წუთის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ უკვე მარსზეა და თავზე იდგამს მარსის სამეფო გვირგვინს.

ორი წუთის შემდეგ „ამხანაგი კერენსკი“ იმავ დედა-მიწისა და მარსის გაერთიანებული სახელმწიფოების მეფე—იმპერატორი, მარსიდან მოფრინავს მიწისაკენ. გზაზე მას ხვდება დელეგაცია მთვარედან და სთხოვენ მათი სამშობლოს შეერთებასაც.

თორმეტი საათი თითქმის სრულდება, რომ ქვეყნიერების მეფე-იმპერატორი „ამხანაგი კერენსკი“ უცქერის დამშვიდებულ და ბედნიერ თავის სამეფოს...

და —(უკვე სრული თორმეტი საათია) „ამხანაგი კერენსკი“ წვება დასაძინებლად, რომ ხვალ დილიდან ისევ შეუდგეს ასეთ ფიქრებს.

ზმუკი.

ᲝᲞᲝᲠᲢᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ: მე შენი იმედი მქონდა და ახე მალე როგორ გაგაფუჭა კოლექტივმა.

ᲙᲣᲚᲐᲙᲘ:—გაღმა მედავები? მე კი შენი იმედი მქონ და! თუ კი ამის მეტს არაფერს წარმოადგენდი, რაღას მპირდებოდი და ბაქი-ბუქობდი?!

მეფე და მეთვალყურე

ჭკვიანი იყო მეფე ბაქარი,
ენაზე თითქო ეცხო შაქარი.
მაგრამ რას არგებს მეფეს სიკეთე;
თუ ქვეშევრდომნი მეფის იქეთა
არ ინახავენ სიკეთეს გულში
და ავ თესლს ჰყრიან სამეფოს ხნულში?
სერიოზულად საფიქრალია!
და ცხადია, რომ მეფეს სცალია
მსგავსი ფიქრისა თუ ეჭვებისთვის.
მიღებულია კანონად მისთვის,
რომ სამსახური იტვირთოს მეფის,
თუა პრობლემა კუჭის და კვების;
მაგრამ ქვეყანა ჭურზედ ფართოა
აქ ერთი კაცი სახიფათოა
ქვეყნის მილიონ მკვიდრთ მეთვალყურედ,
მეთვალყურესაც თუ ი ლხში ურევთ,
რაკი კაცია ისიც ვით სხვები,
და სხვებრ მაზეც ხომ წვება იჭვები?!
მეფემც ინება გაშლა ხელისა
და მეთვალყურეს ქვეყნის მთელისა
სხვა მიუჩინა მეთვალყურეთა,
თითქოს მით ძირი გამოუკეთა
თავის ბაღჩაში დარგულს პურეულს,
ადრე სარეველ—ბალახ-ძირეულს..
მაგრამ... ეჰ, მაგრამ ულეველია,
და მეფის ნდობაც უძლეველია...
ამ მეორესაც ხომ ეჭირვება
მეთვალყურეზედ კვლავ მიპირება?
თორემ მტერი თქვენი იმ დღეში,
რასაც განიცდის შიშს მეფის ლეში!
დაღრღნა იჭვებმა გული ობოლი!
მეფეს ხომ არ ჰყავს თვის ქვეყნად, ტოლი'
იგი ერთია როგორც იაქე...
მართალი არის, მისკენ „მიაქვენ“:
საზრდო, სასმელი თუ სხვა რამ განძი.
მაგრამ აქვეა შიში და ზანძლი,
და ხიფათებიც მოსალოდნელი!..
რა იცი თუ ჯანგს მოგდებს რომელი:
მოკვლა, მოწამლვა თუ გამოგუდვა?
საზღვარი წინ-წინ უნდა დაუდვა,
რომ აიცდინოს კისერზე ყულფი,
ტახტი და კვერთხი თუ კი გსურს უფლის!
და მეფემც აზრი რომ გაილესა,
მანც უთვალყუროს მეთვალყურესა
კვლავ მიუჩინა სხვა მეთვალყურე.
თუმცა მესამეს ორში ნუ ურევთ:
მათი მასშტაბი არის სხვადასხვა,
მხოლოთ აქ მეფის თვალი და რისხვა
მათ ერთნაირად შორის ელირსება:
თუ მათში ვინ ვის შეეწირება?!“.
აქ ხომ მუშაობს ეჭვი თუ ენა?
მაინც, თუ კი ერთს სხვა მიუყენა.
ამას—მესამე, მეოთხეც—მასა,
მაშ, ეს მეოთხე ვინ შეაფასა,
რომ მას მეხუთემ არ უთვალყუროს?
მზად ჰყავს მეექვსეც, რომ ემსახუროს
მეფის ამ ზრავას, როგორც წესია!..
და ხედავთ მეფეს რაც უთესია:
ამ მეთვალყურეს—კვლავ მეთვალყურე!..
ასე ხმელეთი თუ ზღვათა ყურე
შემოიჯაჭვა, როგორც ბორკილი,
ეჭვის, ენის და ღრენის ფორხილი,
ერთი მეორის ზურგს მტრად წახრილი,
ზურგში რომ მასაც ელის მახვილი!..
მხოლოთ ხომ დარჩა უკანასკნელი?!.
მასაც არ ეწყო ჯიბეში ხელი
უქმად, უბრალოდ უანგარიშოთ,
მასაც ხომ უნდა ვისმე საშიშოთ
სჭეროდა ხელში ბასრი ბებუთი
ერთი ვისიმე სულის შემხუთი?
და მეც ჩემ თვალით ვიხილე, როცა
მან ჯიბით დანა ამოაცოცა,
როცა მას მეფის ზურგში არჭობდა,
რადგან ის, წესით, მას სდარაჯობდა,
ვინც მეთვალყურის მეთვალყურებით,
ძალ-სიერთგულის არ დაშურებით,
მთელი ქვეყანა ირგვლივ მოჰქსელა,
სანამ ბებუთმა თვით არ მოჰსერა
ხაზი მეფისა ირგვლივ, ვით რკალი,
და არ ჩაუქრო თვითვე მას თვალი!..

ჯაზირა.

სიზმარ ცხადი

— საზარელი სიზმარი ვნახე: თითქოს ჩვენს საქმეს საშველი აღარ ჰქონდა.
— დაეგდე და დაიძინე.... ეგ სიზმარი კი არა, ცხადია, შე სულელო.

ჭორიკანებს

ჩვენი დიდ მიღწევებით
მუნჯიც ამეტყველდება,
თქვენ კი თქმა სიმართლისა
ჭირივით გიძნელდებათ.

ვინც ჩვენს აღმშენებლობას·
სალათ მიაჩერდება, —
ხმაც, რომ არ უვარგოდეს,
მწამს, მაინც ამღერდება.

თქვენ კი, მტრული განზრახვით,
განგებ ჰხუჭავთ თვალებსა;
და ჭორების ჩურჩულით
ჰკვებავთ მავნე ძალებსა.

ფრთხილად, ნაძირალებო,
დაიმუნჯეთ ენანი,
თორემ გვიან იქნება
ბოლოს თითზე კბენანი.

ფრინარი.

უძლურების ბრაზი



„პრავდა“

ჩენგან აგებულ
დირიჟაბლს
„პრავდა“ რომ ჰქვია სახელი
შესჩერებიან
ყორნები
და გულს უდაგავთ ნაღველი.
გაკვეთა
ცისა კამარა
გუგუნმა „პრავდას“ ფრთებისა,
მისი ხმა
დამმარხველია
ყორნების „იმედებისა,
შესჩერებიან
დირიჟაბლს
ემიგრაციის ყვავები,
თვალს ულვავთ
მშრომელთ მიღწევა
და მხარე ანაყვავები.

კოლტი



„ტარტაროზი“-ს შემდეგი ნომერი გამოვა 16 ნოემბერს



მამა:—მოშორდი, შვილო, ფანჯარას და ნუ უყურებ ქუჩაში მაგ მხეცებს! მაგათგან კარგს ვერაფერს ის წავლი.

ოქტომბრ

ოქტომბრის ღამეს თეთრების რაინდს, —
ელადს, პილსუდსკის—„ტკბილი“ ხიზმარი
ეწვია: კავშირს საბჭოებისას
შემოსეოდა იმისი ჯარი.

— : —

ვიევში იდგა ბანაკი მისი,
გამარჯვების ხმას საყვირი სცემდა
და „უოვლად წმინდა“ პიუსი,—პაპი
გალობდა:—ღმერთო, დიდება შენდა!

— : —

შენი შეწევნით და მადლით შენით
ჩვენ მოვიცილეთ საფრთხე წითელი
და დავიხსენით ურწმუნოთაგან
ჩვენი მრევლი და ქვეყანა მთელი.

— : —

მე ამა ქვეყნის შემუსვრა მსურდა,
ასეთი მქონდა ხოში და ჟინი
ყურთხეულ იყოს რაინდი წმინდა
პანი პილსუდსკი და მუსოლინი

— : —

ამიერიდან ეს ორი გმირი
იყოს ჩარიცხულ წმინდათაშორის....,—
გალობდა პიუს და ირხეოდენ
მისი ხელები ვით ტოტი წნორის.

ლი:—მამაჩემო, ხომ ხედავ ხალხი როგორ კმაყოფილია, სრულიად ახალი ქვეყანა შეიქმნა... დროა—გონს მოხვიდე და შეიგნო!

ი ს ღ ა მ ე ს

თეთრ ცხენზე იჯდა პილსუდსკი, ვინაც
ომი დაიწყო „საბედისწერო"
და როგორც ბინკას ოჩხამურისას,
მას აეპრიხა ულვაშის ღერო.

— : —

და აპრეხილი ულვაში იგი
მთელ საბჭოებად—მის აზრით—ჭღირდ
ხარობდა გულში რომ დაუნდობლად
იგი მუშების ყველგან სისხლს ღვრიდა.

— : —

— მონაგონია ბენიტო ჩემთან
მე ვარ ფაშიზმის ბელადი, მამა —
ფიქრობდა იგი:—მოსკოვის კრემლში
მალე შემხვდება სადილის ჭამა.

— : —

— მოსკოვისაკენ დავიძრათ, ჩქარა!
შევახრამუნოთ საბჭოთა მხარე!
(წარმოსთვქა თითქოს...—და სარკმელით პანს
დახჩერებოდა დაცინვით მთვარე.):

— : —

— ახ!.. ეს ვინ არის?!...—წარმოსთვა ისევ,
— მიშველეთ!.. მახრჩობს. ურწმუნო ხელით..
მას მეთოთხმეტე ოქტომბრის ჩრდილი
თავს წადგომოდა სიკვდილის ცელით.

მ—ზა.

„ბათომში გემი მოსულა"...

6 ნოემბერი. მოსაღამოვდა და როგორც პოეტები იტყვიან, ინდუსტრიალურმა ზაჰესმა ინდუსტრიალური გული ათი ათასი გაღადღადებული ელექტრო - მაშუქით გაუნათა ამ ჩვენს ინდუსტრიალურ ტფილისს.

სცემს ქალაქის ინდუსტრიალური მაჯა და მეც, სახვალიო დემონსტრაციის მოლოდინში ბოლთას ვსცემ ჩვენი საბინაო ამხ-ბის მიერ აგებულ სამ-სართულიან სახლის მყუდრო აივანზე.

— სტუმარია, მამა! — შემოირბინა ჩემმა ვაჟმა.

— შემოიყვანე, სთხოვე!

— შემოვიდა პანამა - გახუნებული კაცი.

— ვეღარ მიცანი კალისტრატე?

— ოჰ! ჩემო ნიკიფორე, რავა ვერ გიცანი, დაბრძანდი, როგორ გახუნებულხარ, კაცო?

— ამათ ხელში სული რომ მიდგას არ გიკვირს? ბიჭო, შენ ხომ არ გაბოლშევიკებულხარ?

— როგორ?

— რაღა როგორ შე კაცო, იცი ხვალ რა დღეა?

— ვიცი რომელია, მართლა მომილოცავს ცამეტი წლის...

— ნუ დამცინი თუ ძმა ხარ.. არა, დავიღუპეთ ხომ? ცამეტი წელია მაგათ ხელში ვართ, აწი გადაურჩებით?

— ვისზე ამბობ, კაცო?

— ჰმ! ვისზე და მაგ ამოსაგდებ ბოლშევიკებზე!.. ხვალ მაგათი დღესასწაულია... ამოაგდეს ქვეყანა და ახლა ზეიმობენ...

— ამოაგდეს თუ ააშენეს?

— ააშენეს კი, თავისთვის, მაგრამ ჩვენ, ამ უდანაშაულო ხალხს რა გაგვიკეთეს? კი გახსოვს ალბათ, ხუცობის დროს რა მენშევიკი ვიყავი, მერე მაგათი გულის მოსაგებათ ანაფორა გავიხადე და ბუღალტრობაც შევისწავლე... გამომაგდეს, ყოფილი ღვდელი, ყოფილი მენშევიკი და ახლანდელი კულაკი ხარო... რამდენია ჩემისთანა? ქვეყანა ღვდლათ და დიაკვნათ იყო, ქვეყანა ჩინოვნიკებით იყო სავსე... ახლა? ახლა ჩვენ კონტრ რევოლიუციონერები ვართ და გამარჯვებულ პროლეტარიატს სადღა მოვაგონდებით?

— რატომ კაცო, იშრომე, ვინ გიშლის?

— დაშლით არა, მაგრამ რა გულით უნდა ვიმუშაო?..

ჩაფიქრდა.

— ახალი ამბები გაიგე?

— არაფერი ვიცი.

— თურმე ამ ბოლშევიკების დღეები დათვლილია. ჩემი რძლის ბიცოლა ჩამოვიდა ჯულფიდან და იქ ვიღაცას უთქვამს, რომ ამ ცოტა ხანში წავლენ თურმე...

გამეცინა.

რა გაცინებს ბოშო, ნახე ასე თუ არ იქნება... ეს ინდუსტრიალიზაცია ტყუილი ყოფილა, თურმე გვატყუებენ... ამას წინად ბიძა ჩემს წაეკრა ყური რიგში, ბათომში გემები მოსულა საფრანგეთიდან...

— გემები? ნავთისათვის იქნებოდენ.

— არა კაცო! ნავთი კი არა თუ მე გემზე ზარბაზანიც დაუნახავთ... ბათომის აღებას ფიქრობენ თურმე, იქნება ახლა აღებულიც კია...

— ხა, ხა, ხა! როგორ გაჭორიკანებულხარ ნიკიფორე!

— იცინე, იცინე! ამას წინად თურმე ბაქოსკენ ჰაეროპლანი გადაფრენილა ინგლისიდან და ბაქოს გეგმა აუღია ზევიდან. ალბათ ომისათვის ემზადებიან. იქნება ახლა ბაქო აღებულიცაა!..

— კარგი ერთი თუ ღმერთი გწამს!

— ასეა რომ გეუბნები. ის კი არა. ლენინგრადშიაც ჩამოსულან უცხოელები და ქალაქს ათვალიერებდენ თურმე. ალბათ აღება უნდათ... მე მგონი, ლენინგრადი და მოსკოვი ახლა აღებულიც იქნება და ხვალ-ზეგ კარზე მოგვადგებიენ ინგლისელები... ვაი როდის. მაშინ მიყურე რა ბიჭი შევიქნე...

სული მოითქვა:

— ინგლისელები მოვლენ, ფრანგები მოვლენ, ამერიკელები მოვლენ. ეს კომუნისტები ისე გაიპარებიან, რომ თვალს ვერ მოკრავ... ჰეი გიდი ბიჭო! ვნახოთ მაშინ რას იზამს ის მუშათა ენტუზიაზმი, ეს ხუთწლედი ოთხ წელში... ჩვენი იქნება ქვეყანა...

სიცილი მაინც ვერ შევიკავე ამ ნახევრად ადამიანის ლასლასზე. იგი უცებ შეკრთა:

— ბიჭო, შენ ბოლშევიკი ხომ არ ხარ?

— ვითომ არ იცი! ორი წელია მიმიღეს!

— ვაი დავიღუპე კაცი... შენ ახლა ჩეკაში გაიქცევი და ჩემს თავს დააჭერინებ! შემიბრალე, მიშველე თუ გრწამს მაცხოვარი...

— თავი დაანებე ფიცს თუ კაცი ხარ, შენთვის სად სცალია გეპეუს. რა შეგიძლია შენ ჭორეობის მეტი!

— მართალია, ჭორაობის მეტი რა შემიძლია... მე ისე, ჭორიკანა ვარ, თორემ საქმის გაკეთება აღარ შემიძლია... შენი ჭირიმე, ნახვამდის და არ გამცე... ვიხუმრე... მე თითონ ბოლშევიკების მომხრე ვარ და პლატფორმაზეც ვდგევარ...

სასწრაფოდ გამომეთხოვა. გახუნებული ქუდი საცოდავათ გამოიყურებოდა გამოკრეტინებულ თავზე.

— „ჰაეროპლანი ბაქოზე გადაფრენილა... ბათომში ზარბაზნებიანი გემი მოსულა... ლენინგრადში ვიღაც უცხოელი ჩამოსულა"... ასეთი აზრები ტრიალებდა იმ გახუნებულ ქუდში, რომელიც ვინ იცის, თავის მაგივრობასაც ასრულებს...

ტერსიტი.



ომს უნდა ბევრი ფული,
მიართვით, როგორც ღომი.
ბურჟუა მიტომ ჰყვირის:
„გამარჯვებამდე ომი".

ბებიაჩემი

ეს იყო წინად, დაეცა ძველი,
მიწას მოედო მძლე ოქტომბერი;
აღსდგა, აზვირთდა ხალხი მშრომელი,
მოკვდა მონობა, დამარცხდა მტერი.

მაგრამ დარჩენილ ნაძირალებსა;
ვაჭრებს, კულაკებს და სხვას ასეთებს,
(რომელთაც წითელ დროშის ფრიალი,
და კოლექტივი ახლაც აფეთებს),—

არ ჰქონდათ კარგი განწყობილება
და ოცნებობდენ ისევ ძველ დროზე
ბებია ჩემსაც მწუხარებაში
თანაუგრძნობდა მღვდელი მარკოზე.

გამოდიოდა ბებია ხალხში
და მწეოდა აგიტაციას:
— ბატონო, ნათლად დავილეპებით
თუ ქვეყნის საქმე მართლაც ასეა!

თუ ასე დარჩა, ქვეყანას მალე
წალეკავს ქარი და ნიაღვარი!—
ემუქრებოდა ის კომკავშირლებს,
თუ რად მოსტეხეს საყდარზე ჯვარი.

აღარ ასრულდა ბებიას წყევლა
(მოკვდა საწყალი ამათის ჯავრით).
სოფლად უფლელგან კოლექტივია,
სახლს არ მხურავენ ახლით და ყავრით;

აგერ ქვისაგან დიდი ბეღელი,
წითელი მხურავს თავზე კრამიტი.
თუმცალა ზოგნი გულზე სკდებიან,
მაგრამ სოფელი მხარობს ამით.

იანო.

უსირცხვილოს სირცხვილი



ხოც.-დევ:—მრცხვენია, რომ მეფის მინისტრი ამათ მიერ ვარ არჩეული!

საოქტომბრო

(ხალხურ კილოზე)

ერთი წელიც გადავგორეთ
მხიარული სიცილითო;
ბევრს მრუდს გვერდი გაუსწორეთ,
რომ სტკიოდა მას ძილითო.
ვინც ოთხ წელში ხუთ წლის გეგმას
ვერ ასრულებს კარგადაო,
წელში კუკუს ამოვსახიბთ და...
არ გვსურს გვყავდეს ბარგადაო.
კოლექტივის მშენებლობას
ვინც მისდევდა კუდადაო,
არ ვაძლევდით იმას ნებას,
ემუშავნა ცუდათაო.
ინდუსტრიას ვინც, რომ გმობდა,
აუწიეთ ყურებიო,
ზურგზე მტვერი ავადინეთ,
გვყავდა შენახურებიო.
ცამეტი წლის გრძელ მანძილზე
ყველგან ასე ვიარეთო,
ვინც არ გვმტრობდა, იმათ ყველას
ლხენა გაუზიარეთო.

ტარზან.

მოთმინეგის საზღვარზე



ინგლისელი (ჰანდს): შეულოცე სპილოს იქნებ გაჩერდეს, თორემ ჩამომაგდებს.

სალამი ოქტომგერს

(გურული სცენა)

ეს ერთი ცამეტი და სხვა კიდო ათასი ამისთანა ცამეტის შესრულებას ვუსურვებ ჩვენს მთავრობას, რომელიც შვილივით გვივლის.

დეენაცვლოს სხვა პარტიები, რომლებიც სოფლებში არიან შემძვრალნი და იქიდან გვიღრენენ კბილ ჩაცვენილ ტურებივით.

რაც მართალია მართალია და კაი მთავრობის ხელში ვიმყოფებით. რასაც იტყვიან, ყველაფერს აასრულებენ.

ქე იყო წინედ მენშევიკების მთავრობა, მარა რაი მერე? იმ საცოდავებს სულ „მეითმინეთ მეითმინეთი"-ს ძახილში ამოძვრათ სული. აპა რავა ეგონათ! მარტა შეპირების მეტი რომ არ ყოფილიყო საჭირო, მაშინ, რა უჭირდათ წვერ ცამეტა ხუცებს, რომლებიც ხულ იმას გვიქადაგებდენ — ვინც ამ ქვეყნად მეტს მოითმენს და მეტს გაჭირვებას გადაიტანს, იგი პირდაპირ სამოთხეში შვლიჭავს თავსო. დღეს კი ეკლესიაში შესვლას, მდუღარეში თავის ჩაყოფა გვირჩევნია.

ახლა ყველაფერს რო თავი დავანებო, ვინ წარმოიდგენდა თუ ჩვენ ყრუ სოფელს სამკითხველოს, დოხტურის პუნქტს და კლუბს გოუკეთებდენ. მარა ჩვენ მთავრობის ხელში თურმე რას არ მოესწრები კაცი? გზა გაგვიკეთეს იმისანა, რომ კაი ანტონობილიც ქე იკადრებს ზედ გავლას.

ისე მე და ჩემ ელპიტესაც წერაკითხვაც ქე შეგვასტავლეს. გაზეთს ისე ჩავაბულბულებთ, რავარც კაი მოწაფე უროკს.

ახლა ყველაფერი კაი, მარა ამ ტრახტორმა გამაკვირვა სწორეთ. ჩემი წელგაგდებული ხარები რო ერთ თვეს მოხნავენ, ეგენი იმდენს ერთ დღეს რავა მოუნდებიან?

ჰო-და ამის შემდეგ მოდი და ნუ დაიკავებ კაი ბზის ჯოხს და ნუ უთაქებ ბეჭებში იმათ ვინც გეიძახის: კომუნისტები კი არ აშენებენ ქვეყანას, არამედ ანგრევენო. თქვე წყალწაღებულებო, თუ აშენებას დანგრევას ეძახით, მაშინ დანგრევას რაღას დოუძახებთ?

ამიტომ გირჩევთ ჩამოიღოთ ბრუციან თვალებიდან ეგ ელამი სათვალეები და უფრო გაარჩევთ შავ თეთრისგან. თუ არ დამიჯერებთ, ანასუნი თქვენ საქმეს, ხოლო სალამი და გამარჯვება ჩვენს მთავრობას.

კირილე საფირჩხიელი.

რუსული იუმორი



როცა სახელმწიფო გასაჭირშია, სირცხვილია ჯიბეში ხელები გეწყოს! დეე, ყველამ გადაარჩინოს რაც შეუძლია!



ისინი, ვინც მშვიდობიანობაზე ლაპარაკობენ.

ისინი, ვინც მშვიდობიანობაზე სდუმან.

— ძვირფასო აჩრდილო, დამიფარე თავისუფლების მზის სხივებისაგან, თორემ ვერ უძლებს ჩემი სხეული მათ სიმხურვალეს.

წერილი ემიგრანტს

სალამი ლევან!

მივიღე შენი წერილი. იწერები, რომ—დიდსა და აუტანელ გაჭირვებაში ვარ და მინდა სამშობლოში დავბრუნდეო.

ლევან, არ გადირიო კაცი, და მართლა არ წამოხვიდე. აქა ვარ, ძმაო, მარა რაღა ამისთანა ყოფნა. თავადი კაცი იძულებული ვარ თოხი დავიკავო ხელში და ყანა ვთოხნო. როგორ შემიძლია ეს მე! მაგრამ ვინ გიყურებს და გიჯერებს შეგიძლია თუ არა.

ამას ვინ ჩივა, მიწები ჩამოგვართვეს, სულ ცოტა დაგვიტოვეს, (ამის შესახებ ქე გწერდი, არ ვიცი—მიიღე თუ არა ის წერილი).

ეჰ, ჩემო ლევან. სადაა ის დალოცვილი ჩვენი ძველი დრო, როცა ამ ჩვენს ქალაქში პირველი კაცები ვიყავით.

გახსოვს ვარდის ჩიხში რომ ორსართულიანი სახლი ჰქონდა „სოფია ჩერტოვას“? (ასე ვეძახდით ბიჭები), შიგ ეხლა ქრა-კერვის სასწავლებელია და სოფლის გოგოებს ხელობას ასწავლიან, ხომ გახსოვს-რა დროებას ვატარებდით შიგ, რა მშვენიერი ქალები ჰყავდა მართლაც იმ „ჩორტ“ სოფიას. გიყვარდეს მთელი ღამის განმავლობაში ქეიფი და ნაირნაირი ქალები.

შენ ალბად ისიც გეხსოვრება, ხიდთან რომ ყლაპაძეს რესტორანი ჰქონდა—**„შეგერგება“**—(ჩხუბს რომ ვმართავდი ქეიფის შემდეგ, აი ის რესტორანი); იქ ეხლა გლეხთა სახლია და გლეხთა წითელი სასადილო.

გზობას რომ მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გოგოებს ბზის ტოტებით ვეარშიყებოდით და მალულად კიდეც ვკოცნიდით, იქ ეხლა უბნის კლუბია გახსნილი და შიგ სამკითხველო.

გახსოვს, სოფელში რომ დიდ მუხასთან აღმართია, იქ რომ ტალახი იდგა ყოველთვის, გლეხები შიგ რომ ჩურჩხელებივით ისვრებოდნენ და ჩვენ ვიცინოდით,—იქ ეხლა ქვაფენილია და აღმართი გასწორებულია.

ალბათ შენ ისიც გემახსოვრება, რომ მთვრალები ღამით გლეხების ჭიშკრებს ვიღებდით და წყალში ვყრიდით. (ო, რამდენი სიამოვნება იყო!) ეხლა, ჩემო ძმაო, ჭიშკარი კი არა, სარი რომ ამოუღო ღობიდან, მეორე დღეს აღმასკომში დაგიბარებენ.

სადაა ის იდილია, რომელიც [illegible] სოფელში იყო.

ხომ გახსოვს—როცა დაგვპატიჟებდნენ, ქეიფის შემდეგ კვარის ჩირაღდნებით გვაცილებდნენ. ეხლა ელექტრონია სოფლად და კვარი ვის-ღა ახსოვს.

წინეთ სალამს შორიდან გვაძლევდნენ გლეხები და თავს მიწამდე ხრიდნენ. ეხლა ჩვენს სალამზე პასუხის გაცემაც ეზარებათ.

კურდღელზე სანადიროდ რომ დავდიოდით, ის ადგილები და ტყეები ეხლა კოლექტივის ჩაის პლანტაციებს უჭირავს. ჩვენ რომ დასასვენებელი გვიმბრის კარავი გვქონდა წყაროსთან ტყეში, იქ ეხლა ვეებერთელა ორსართულიანი შენობაა მოკრეფილი ჩაის თავმოსაყრელად. ჩვენ რომ „მგლის ბილიკს“ ვეძახოდით, ის ბილიკი ისე გააფართოვეს და გააკეთეს, რომ ეხლა ზედ ავტომობილი დასრიალებს.

გული მიკვდება, როცა ამას ვხედავ, მაგრამ რას გავხდები ამ ბარბაროსებთან.

ქალაქში პატიოსანი კაცი ერთ თავის შესაქცევ და დროს გასატარებელ სახლს ვერ ნახავ. იქა-იქ იყო თითო ოროლა „პრიტონი“, მაგრამ ამ ერთი წლის წინედ ყველა აღმოაჩინეს და მიჰკეტეს. არ ვიცი რას ფიქრობს ეს მთავრობა, რომ სკოლებისა და ინსტიტუტების გახსნის გარდა, აღარაფერი ახსოვს საზოგადოებრივ გასართობების შესახებ, როგორიც არის: კაზინო, სათამაშო კლუბი, კაბარე და სხვა.

სარდაფში რომ კაფე-შანტანი იყო, იქ ეხლა ტირია.

აი, ასეთი მდგომარეობაა ჩვენში. მგონია, ამიერიდან მაინც აღარ იფიქრებ წამოსვლაზე.

ნეტავი მეც მანდ ვიყო!

შენი პარმენ.

წერილის ხელში ჩამგდები: **რინ-ტინ-ტინ.**

„მისტერ კირილე"

ძვირფასო და საყვარელო მანია!

მას შემდეგ დიდი ხანია, რაც საფრანგეთის დედა ქალაქში პარიზში ვარ. ცამეტი წელი ყველაზე დიდი მოვლენა არის ჩემს ცხოვრებაში.

რას იზამ, ჩემო კარგო, ბოლშევიკებს კისერს მოუგრეხდით, მარა საქმე ის არის, რომ მუშები არ მოგვყვებიან.

სახლის პატრონი მეუბნება:

— რა ამბავია, მისტერ კირილე! ნუთუ აღარ მიდიხართ სახლში! აკი თქვენ ისე ამბობდით — მალე დავბრუნდებითო!

ყველაფერი მეგონა, მაგრამ თუ ჩემი „ხაზეინი" მისტერ ჟორჟ აღარ დამაყენებდა ოთახში, ეს კი აღარ მეგონა.

დღეს დილით შემოვიდა ჩემთან ოთახში და მითხრა:

— მეტი აღარ შემიძლია. დღესვე მიბრძანდით ჩემს სახლიდან, ათი წელია გაიძახი: „აი, ეხლა დაემხობიან ბოლშევიკები და წავალო"... კმარა ამდენი ტყუილი.

და მართლაც გამაგდო იმ უსინდისომ სახლიდან.

ალი.

კულაკი და ნიკო მღვდელი

(ოკრიბა)

— შენდობა მამაო ნიკო.

— ღმერთმა შეგინდოს, ღვთის ერთგული მსახური შვილო თადეოზ.

— ბატონო ნიკო, წელს შემოდგზე ზიარება რატომ არ გვარგუნე? მთელი სოფელი წმინდა პირდაპირ; ერთი წელი გადის და სოფელი არ ზიარებულა.

— ეჰ შვილო თადეოზ, შენ ყოველთვის გულმაგარი და ერთგული მსახური იყავი ღვთის, (დიდება მის სახელს), მაგრამ ეხლა კი წყრას მოუწევია შენთან; სანამ ადრეა და არავის გაუგონია შენი სამართლიანი მოთხოვნა, გაიპარე აქედან.

— ბატონო ნიკო, მომიტევეთ თუ ვცდები, მაგრამ თქვენ რაღაც არა ჩვეულებრივად მელაპარაკებით დღეს, ალბათ მეორეთ მოსვლა მოახლოვდა და ქვეყანა წარღვნის წინაშე სდგას. ღმერთო, იხსენი ქვეყანა წარღვენისაგან, რათ მოიძულე ასე მალე ხალხი? რას ერჩი ყველას? თუ მაინც და მაინც, გაწმოარჩიე კომკავშირლები და ისინი დახოცე, ჩვენ კი გადაგვარჩინე.

— შვილო თადეოზ, წუხელი „ობისკი" მიქნეს და რაც ვერცხლის ფულები და დინამიტები მქონდა, წაიღეს.

— ბატონო მამაო, მეორეთ მოსვლა ყოფილა. რავა, შენ სახლში გაბედეს შემოსვლა!?

— გაბედეს რომელია, ი ჩვენი კომსომოლები შემოყვენ მილიციას და პირდაპირ იმ ყუთს მიადგენ, სადაც დინამიტები მქონდა შენახული.

— მამაო, ჯვარზე მამთხვიე და მაგ კომსომოლების დაწყევლის ნება მომეცი. სომხეთის წმინდა ნიკოლოზის ხატო, შენ გასწყვიტე ჩვენი სოფლის კომკავშირლები, რომელთა უმრავლესობა მოუნათლავიც არის.

— მამა და შვილო, კომუნისტებიც მიაყოლე, ისინია მთავარი. მაგენი ისე მყავდა ამ ორი წლის წინ გამომწყვდეული ბრჭყალებში, რომ ქალსაც ვერ თხოულობდენ ჯვარ-დაუწერავად, ახლა კი ღმერთიც აღარ სწამთ.

— მამაო ეხლავ შეუდგეთ ლოცვას თორემ ქვეყანა დაილუპება.

— თუ დაილუპება კარგია, კოლექტივის წევრები მოჰყვებიან შიგ და ქვეყანა განთავისუფლდება.

— მამაო ნიკო, მე ერთი ხარი და ორი ცხვარი მყავს გამზადებული. უნდა შევწირო ცხრა-ჯვარის მონასტერს და ჩაუთქვა, რომ მეორეთ მოსვლის დროს გასწყვიტოს კომკავშირლები და კოლექტივში გაერთიანებული გლეხები.

— შვილო თადეოზ, კომუნისტებიც მიაყოლე ხოლმე.

ამ ლაპარაკით ნიკო და თადეოზ ერთმანეთს გამოემშვიდობნენ.

— რა სულელია ეს საწყალი! ნეტავი კიდევ აქვს რისიმე იმედი! — სთქვეს თავისთვის ნიკომ და თადეოზმა ერთმანეთზე.

ლალია.



ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა თეთრგვარდიელების ჩაბმა ჩინეთის კულტურულ მშენებლობაში.

(„რევიზორიდან")

თეთრი ზეხარალი: — ჩვენ სიხარულით ჩავებით კულტურულ მშენებლობაში, თქვენო აღმატებულებავ! გვიბრძანეთ, ვინ „ვაზიაროთ" [illegible] ჩვენს „კულტურას"?



გერმანია — რაც არ უნდა ამოვლობოთ ეს საზღვარი კომუნიზმის აჩრდილს მაინც ვერ დავმალავთ.

გ ო დ ო რ ი

[illegible]ს (სამტრედია). შინაარსის სერიოზულობის გამო ვერ ვბეჭდავთ თქვენს ლექსს, მხოლოდ მოგვყავს მისგან ერთი ადგილი:

რაც მჭიროდა, ისა ვქენი,
თავადს ავხადე ღირსება.
მივუყენე გლეხებს გვერდით
(რავა არ გაგეცინება).

მართლაც გაგვეცინა და... მაგრამ საქმე იმაშია, რომ კოლექტივში გლეხისათვის თავადის გვერდში „ამოყენება“ საზიანო საქმეა კოლექტივისათვის.

მუშტაძეს (მოხისი). ეს ძლიერ სასიამოვნოა, რომ თქვენ შეგნებული ყოფილხართ და გესმით დღევანდელი წესწყობილების უპირატესობა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ საბჭოთა მთავრობა ღმერთზე მწყრალია და, მაშასადამე, ამ უკანასკნელის (ღმერთის) „მადლი“ მას ვერაფერში გამოადგება. ხელისუფლებაზე ამბობთ, რომ:

მოგვაშორა მეფე, ღმერთი,
ყველას მოგვცა ლხინი, შვება.
ჩვენს მთავრობას ღმერთმა მისცეს
დლეგრძელობა, გამარჯვება.

კარგად დაუკვირდით ამ თქვენს ნაწერს. აქ წინააღმდეგობას აქვს ადგილი.

რამზეს (ოზურგეთი) რა მზეც არ უნდა იყოთ, ლექსის დაბეჭდვას მაინც ვერ შეგვატყობებთ.

გვწერთ, რომ „ოქტომბრის **ხათრისათვის დამიბეჭდეთ მაინც**“. თქვენ გგონიათ, რომ „ოქტომბრის“ გამო შეიძლება ცუდი ლექსის დაწერა და დაბეჭდვა? პირიქით!

ბარმოტნს (აქვე). გვწერთ, რომ **„ოქტომბრის დროს ბატარა ვიყავი და ეხლა მაინც მიმადლებინეთ ოქტომბერში მონაწილეობა—დამიბეჭდეთ ეს წერილები“**-ო. თუ თქვენ მართლაც გინდათ „ოქტომბერში“ მონაწილეობის მიღება, ლიკვიდაცია უყავით მართლწერის უვიცობას და განთავისუფლდით მისტიციზმისაგან.

სინუსს (ქუთაისი). თქვენი ლექსი ასე იწყება:

დღისით წიგნებს ვკითხულობდი,
ღამით ტკბილად ჩამეძინა.
მაგრამ ვნახე მე სიზმარი,
და მივეცი აქ მას ბინა.

მართლაც დაწყეველოს ყოფილმა ღმერთმა ეს რაღაც სიზმარია. თქვენ რომ ის არ გენახათ ძილში, ჩვენაც ბოგვასვენებდით და თქვენაც ტკბილათ გეძინებოდათ.

დაინტერესებულს (ფოთი). გაინტერესებთ შეგატყობინოთ, თუ სად მიდის უვარგისი და დაუბეჭდავი მასალა. ამას რა დიდი მიხედომა უნდა—გოდორში მიდის.

მეფე და მეთვალყურე **ზგო აენმისუვოზგაე**

ოლიმპიელს(ოზურგეთი) შეუდარებელია ეს ერთი ადგილი თქვენს პოემაში:

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი
მიყვარს ლექსების დაწერა,
და ხელში კალმის ტრიალი.

„ვისაც **რა** უნდა, ისა სთქვას“, მაგრამ თქვენ ვერ ახერხებთ რის თქმაც გინდათ. „ხელში კალმის **ტრიალს**“ სჯობია, კალამი ხელში მაგრად დაიჭიროთ და სტრიქონები გარკვევით დასწეროთ.

კალმოსნებს (ხაჩხერე). სად არის რაიონის განათლების განყოფილება თუ თამარ, დუგლაძემ:

ხახაზინო ფულებით
პირი ჩაიტკბარუნა.
ამას დაამოწმებენ
შოშია და არუნა.

რა ვუყოთ მერე, რომ „პირის ჩატკბარუნების“ შემდეგ რევიზია ცუდი დასაყოლებელი (დესერტი) იქნება!?

რედაქ. სარედ. კოლეგია. სტამბა „კოლექტივი გაზ. „მუშა“-ს გამოცემა. მთავლ. № 1319.

Ç 345
1930

Библиотека-Музей

?!? — ერთი ამათ შეხედეთ! აღმშენებლობაშიაც ისეთივე უნარს იჩენენ, როგორიც სამოქალაქო ომში ჰქონდათ... მოდი და ნუ გაბრაზდები!